# ხელშეკრულება №58
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ პროექტი

დაბა სტეფანწმინდა 30 მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ალიბეგაშვილის სახით და
მეორეს მხრივ შ.პ.ს. „არქიტექტურა და პროექტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ღურჯულიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 აპრილის №68 ბრძანების, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიც ხელმომწერლთა მხარეთა მიერ ნასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „დღე", „კვირა" „თვე „ – კალენდარული დღე, კვირა ,თვე.

1.4 „შემსყიდველი" ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" პირი ,რომელიც აწოდებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „სამუშაო" ხელშეკრულების მე 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება" ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფ. გარბანში წყლის სისტემის შიდა ქსელის მოწყობის, სოფ.ახალციხეში წყლის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობის, სოფ. ფანშეტში წყლის სისტემის შიდა ქსელის მოწყობის და სოფ. ტყარშეტში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სრული და ფუნქციური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5800 (ხუთიათასრვაასი) ლარს. დღგ- ს ჩათვლით.

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მომსახურების სრულად გაწევისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება– ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ელ. ვერსია თითოეულ პროექტზე დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4(ოთხი) ეგზემპლიარად.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. სამუშაოს შესრულების ვადა

6.1. მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და დაასრულებს 25 ივნისს.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.5.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

7.5.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

7.5.4. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დანახარჯებით სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება [illegible] ანაზღაურების ფარგლებში.

შემსყიდველი

ARCHITECTURE AND PROJECT

მიმწოდებელი

**8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ზურაბ გოშაძე და ჯემალ ხუჯაძე.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნები.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% – ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10(ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და ხელშეკრულების შეწყვეტა.**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარევალდებულია არანაკლებ 5(ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების გარემოების თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**11. დაუძლეველი ძალა.**

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით. აღნიშნული პირობების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი

ARCHITECTURE AND PROJECT

მიმწოდებელი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.
11.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. სუბკონტრაქტორები
12.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით).
12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ყველა სუბკონტრაქტორ(ებ)ის სია უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში არც ერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 30 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი :

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
მისამართი: დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ. 1
ს/კ 241499473
მომსახურე ბანკი: ს.ს. ლიბერთი ბანკის ყაზბეგის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE78LB0120181120754000

ხელმოწერა: ____________________

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „არქიტექტურა და პროექტი“
მისამართი: ქ.რუსთავი,ზ.ფალიაშვილის ქ. 5ა ბ.24
ს/კ 416311565
მომსახურე ბანკი: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა GE81RE0000010011630570

ხელმოწერა: ____________________

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional